დავით ჩიხლაძე

დღეს (საცეკვაოდ)

დღეს საცეკვაოდ) გიწვევ ყავაზე გრძელია ღამე
უბედნიერი ვიქნები შენთან ბატონო ჩემო
მე მოვირთვები და მოლოდინის დავუკრავ გამებს
და საცეკვაოდ გიწვევ ამაღამ ბატონო ჩემო
ო, უწმიდა არს სახელი შენი ბატონო ჩემო

ის მფრინავია, აღარ ვუყვარვარ და მიმატოვა
უბედნიერი ვიქნები შენთან ბატონო ჩემო
ჰოდა ძვირფასო მე შენ მიყვარხარ და მე მარტო ვარ
გთხოვ საცეკვაოდ (მე მომიტაცე) ბატონო ჩემო
ო, უწმიდა არს სახელი შენი ბატონო ჩემო

ქმარი გაფრინდა მან საბოლოოდ ბავშვებს აკოცა
არც ბავშვები მყავს ვფიცავ მერწმუნე ბატონო ჩემო
მათ ნუ იკითხავ ჩემში ბავშვობა ომმა დახოცა)
მე გამიწვიე დღეს საცეკვაოდ ბატონო ჩემო
ო უწმიდა არს სახელი შენი ბატონო ჩემო

1985

წითელ დროშას

ჩვენ ავწევთ მაღლა წითელ დროშას,
დამთავრდა სიზმრების და ფსიქოანალიზის დრო
ჩვენ გავშლით ფართოდ წითელ დროშას
დამთავრდა შიშის და პროვოკაციების დრო
ჩვენ ავაფრიალებთ წითელ დროშას ქალაქების თავზე
დამთავრდა პარტიების და კონფორმისტების დრო
ჩვენ ავაღელვებთ წითელ დროშას ყველა გულებში
დამთავრდა დრო პრივატიზაციის და იზოლაციის
ჩვენ ავსტყორცნით ცაში წითელი დროშის კალთას
დამთავრდა ვაჭრობის და გაცვლა-გამოცვლის დრო
ჩვენი დროშა იქნება თავისუფალი სიყვარულის ჰენდრიქსის
ჩვენი დროშა წითელი იქნება პისტოლსის და პაზოლინის,
ჩვენი დროშა წითელი იქნება მტერი ნაციონალიზმის და ინტერნაციონალიზმის,
ჩვენი დროშა უკვე ჩანს გზების იქით,
ჩვენ ავიღებთ მაღალ ტარს ამ დროშის და მივამაგრებთ
მსოფლიოს აივანზე, რომელსაც ქვია ტიბეტი,
ჩვენ ავიღებთ მაღალ ტარს ამ დროშის და
ვიმღერებთ მეხუთე ინტერნაციონალს
ჩვენი დროშა იქნება სისხლისფერი, ვინც მისთვის დაეცა,
ვინც ქრისტეს ძლიერ გზას გაყვა,
ჩვენ ავწევთ მაღლა წითელ დროშას და ყველას დავანახებთ
რა არის ადამიანი
ჩვენ ვიცით მხოლოდ დიახ სამყაროსადმი
ჩვენი დროშა შეებრძლება ყოველგვარ არას.
ჩვენი დროშა ნამდვილი თავისუფლების დროშაა,
სიყვარულის თავისუფლების,
მშრომელთა თავისუფლების, მეომრების თავისუფლების,
პოეტების თავისუფლების, მკვდარი მეფეების
თავისუფლების,
ჩვენი დროშა სექსუალური თავისუფლების დროშაა,
ახალგაზრდული სისხლია მის ძარღვებში
ჩვენ ავწევთ მაღლა წითელ დროშას და გავშლით მას
ფართოდ მთელ დედამიწაზე.
ჩვენ ავწევთ წითელ დროშას.

2005

მეტრო

მეტრო ცეცხლია.
მეტრო ცეცხლია.
მეტრო ქვანახშირია დიდების.

მეტრო თმაა.
მეტრო გზაა მთაში.
მეტრო თვალებია სიშავის.
მეტრო თითია.
მეტრო თავბრუსხვევაა.
მეტრო ტრაილერია.

მეტრო ნაკლებობაა.
მეტრო ყოფნაა.
მეტრო მ ა ი ა ა.
მეტრო სამსარაა.
მეტრო
მანტრაა.
მეტრო ტროაა.
მეტრო გზაა.
მეტრო შენ ხარ.

მეტრო ღრუბელია.
მეტრო ტანტრაა.
მეტრო წვიმაა.
მეტრო სიყვარულია.
მეტრო შენ ხარ.

მეტრო მოსვლაა.
მეტრო სიგიჟეა.
მეტრო სპიდვეია.
მეტრო სპიდია.
მეტრო ცეცხლია.
მეტრო
ცეცხლია.
მეტრო არომატია.
მეტრო ბარძაყია.
მეტრო სარკეა.
მეტრო აღმაფრენაა.
მეტრო მეგობარია.
მეტრო დანაა.
მეტრო ჯოხია.
მეტრო ცხვირია.
მეტრო ღამეა.
მეტრო სიგარეტია..
მეტრო ჯიბეა.
მეტრო გულისამრევია.
მეტრო თითისმტვრევაა.
მეტრო ლოკოკინაა.
მეტრო მოტეხვაა.
მეტრო წარტყმაა.
მეტრო ნინოა.

მეტრო სიგიჟეა.
მეტრო ნადია და ტანიაა.
მეტრო იაა.
მეტრო ძეხვია.
მეტრო შეჭმულია.
მეტრო ნაწლავია.
მეტრო ბოდვაა.
მეტრო სახლია.
მეტრო მტვერია.
მეტრო მონატრებაა.
მეტრო მარტოობაა.

მეტრო რიტმია.
მეტრო მეტაფორაა.
მეტრო დროის გარეა.

მეტრო ტრანსცენდენტურია.
მეტრო თეთრია.
მეტრო სითეთრეა.
მეტრო წერტილია.
მეტრო ტეხვაა.
მეტრო დარტყმაა.
მეტრო ქათამია.
მეტრო ხასიათია.
მეტრო ბუნებაა.
მეტრო დილაა.
მეტრო ცოცხალია.
მეტრო ბნელია.
მეტრო ფერადია.
მეტრო მშვენიერია.
მეტრო კვამლია.
მეტრო კომპლიმენტია.
მეტრო მჭახეა.
მეტრო მისამართია.
მეტრო ცისფერია.
მეტრო უსასრულოა.
მეტრო სვასტიკაა.
მეტრო პარადიზია.
მეტრო კოსმიურია.
მეტრო ფრინველია.
მეტრო კვადრიპოლარულია.
მეტრო განათებაა.
მეტრო ფიქრებია.
მეტრო ღრუბლებია.
მეტრო წყალია.
მეტრო სულია სვასტიკაში.
მეტრო სასტიკია.
მეტრო ღორია.

მეტრო ტემპერამენტია.
მეტრო შეხებაა.
მეტრო ძაფია.
მეტრო კონფლიქტია.
მეტრო მოწევაა.
მეტრო პოპ-არტია.
მეტრო შენ ხარ.

მეტრო გონებაა.
მეტრო მოვლენაა.
მეტრო გადაწყვეტაა.
მეტრო ძებნაა.
მეტრო ჰაერია.
მეტრო ატამია.
მეტრო ნიუ-იორკია.
მეტრო ლოგინია.
მეტრო ძაღლია.
მეტრო ძილია.
მეტრო ვაგონებია.
მეტრო დედოფალია.
მეტრო პორტია.
მეტრო ჯინსებია.
მეტრო გემია.
მეტრო თვითმფრინავია.
მეტრო სირბილია.
მეტრო მათრახია.
მეტრო სიყვარულია.
მეტრო შიშველია.

მეტრო მთაა.

მეტრო დარბაზია ცაში.
მეტრო ლამაზია.
მეტრო თმაა.
მეტრო მოთმენაა.
მეტრო სისხლია.
მეტრო მეტროა სისხლში.
მეტრო სისხლია ატამში.
მეტრო მკაცრია მთაში.
მეტრო ციურია ღამით.
მეტრო ც ი უ რ ი ა ღამით.
მეტრო სერენადაა.
მეტრო ოცნებაა ბავშვის.
მეტრო ტანიაა ზღვაში.
მეტრო შენ ხარ ისევ.

მეტრო მარტოობაა სხეულში.
მეტრო სახლია მიწაში.
მეტრო სიგიჟეა ვირთხის.
მეტრო ქუსლებია მუსიკის.
მეტრო გაოგნებაა ჩემი.
მეტრო ხსოვნაა მოსკოვის.
მეტრო დავიწყებულია სიზმარში.
მეტრო სიზმარია დავიწყებაში.
მეტრო სიმარტოვეა დედოფლების.
მეტრო მარშია სერჟანტის.
მეტრო სამკაულია ზღვების.
მეტრო სიმახინჯეა ნაგავის.
მეტრო ყვავილია მთაზე.
მეტრო სისულელეა ჰაერში.
მეტრო დაუმთავრებელია ძირში.
მეტრო მიწაა მიწის.
მეტრო სამმაგია ოთხმაგში.
მეტრო ხეა ყვავილში.
მეტრო მე-14 სართულია.
მეტრო 97-ე სართულია.
მეტრო უღიმღამოა დილით.
მეტრო არ მთავრდება.
მეტრო ლიმონათია მათხოვრის.
მეტრო ქოფაკია ოპერაში.
მეტრო თვითმფრინავია პირსაბანში.
მეტრო ფანჯრებია აღმოსავლის.
მეტრო ტუკი-ტუკია.
მეტრო მეტროა.
მეტრო მეტროა.
მეტრო მეტროა.
მეტრო მეტროა.
მეტრო ინდოეთია.
მეტრო პალმებია მუსიკაში.
მეტრო დოლის ხმაა ცხოვრებაში.
მეტრო პირის დაბანაა მთვარეების.
მეტრო სიცოცხლეა ყველგან.
მეტრო ქალებია ქარში ჩასაფრებული.
მეტრო გირჩებია მარიკას ნაჩუქარი.
მეტრო წამია თმებში გაფანტული.
მეტრო ტყეა ვიღაცის გულში.
მეტრო ხმლებია ამოღებული
კომპლექსების.
მეტრო მზეების მოგზაურობაა საერთაშორისო.
მეტრო ტოლობის ნიშანია გასართობი.

1987

მიმართულებები

საით მიმართულან ქალაქის კორპუსნი, შორეულ
მთებზე რომ ფენენ უხილავ ჩრდილებს?
საით მიმართულან ქარხნები, ქარნი და ვარსკვლავნი?
მტრედი: სამყაროში მოხეტიალე წვეთი
ვერცხლისწყლის...
საგზაო ნიშნები და ქუჩები ღამის: ქალთა
სამოსელნი, ხელუხლებელნი, ჰაეროვანნი.
საით მიმართულან მარტოობანი და ხმაურნი
და ყვავილნი მდუმარების?
საით მიმართულან სარკენი, თმის სარჭნი და
თეთრეულნი ჩემი ძვირფასის?
საით მიმართულა მოხატული ქვის სიამაყე
და მის გარშემო მოკისკისე ფერხული ზაფრანათა?
საით მიმართულან ავტობუსნი და მათ კვალად
მიმფრენნი დასნი ანგელოზთა?
საით მიმართულან ხენი, აღმომსკდარნი ნერვნი
დედამიწის?
საით მიმართულან რწმენათა ზღვებში მოლივლივე
თევზები სიყვარულის?
საით მიმართულან კოსმოსნი და იდუმალი ვედრებანი?
საით მიმართულან დაღლილობანი და სიბნელენი და
წოლანი გვერდიგვერდ?
საით მიმართულან მიჯნურნი ჩვენნი?
საით მიმართულან მკვდარნი და როგორია მათი
მიმართულება?
საით მიმართულა ჩვენი გაოგნება, როცა გიყურებთ და
ვერ გამიგია, რომელი თქვენგანი ვარ მე?
საით მიმართულა ჩემი საფრთხე, რომ ვერ გამიგია, ვინ
ჩასახლდა ჩემს სხეულში და ჩემს მაგივრად
ვინ გესალმებათ, ვის უყვარხართ და მე სად ვარ?
საით მიმართულა მაგია?
საით მიმართულან თქვენი სიცილის ზარბაზნები, როცა
ვამბობთ, რომ ადამიანები უყვართ ერთმანეთს?
საით მიმართულან სიმღერანი და 13 წლის გოგონათა
თვალთა ხიდები სიზმრებსა და ცხოვრებას შორის?
საით მიმართულა ჩემი დგომა ქუჩაში, როცა არც ერთი
კაცი და ქალი და ავტომობილი არ მოდის ჩემკენ
და სადღაც მაღლა ვხედავ დედაჩემს, ჩვენი სხლის
ფანჯრებს რომ წმენდს - თითქოს იმათ ემშვიდობება
და ხელს უქნევს, ვინც ცოტა ხნის წინ იყო აქ,
ეწეოდა, იცინოდა და ორთქლავდა მინებს, ახლა კი
შორეულ, უცნობ მიმართულებებს გაჰყოლია სამარადისოდ.
საით მიმართულა ელექტრობოძების, ელნათურების
ძალზე უცნობი პესიმიზმი, საერთო თოვლის, საერთო
წვიმის, ქარებისა და მზეების შუქი?
საით მიმართულა დავიწყება, რომ ჩვენშია სიყვარული,
ჩვენშია წყვილი?
რომ ყოველ ჩვენგანს ხელთ უნდა ეპყრას ოთხი
თვალი, როგორც კამათელი, ორი ქალის და ორიც
საკუთარი.
რომ მერე ჩვენს კამათლებს დრო შეაგროვებს თავის
ცილინდრში და წავა ერთადერთ კაზინოში და წააგებს.
რომ თვალები ხიდია სიზმარსა და ცხოვრებას შორის.
რომ თვალები არ კვდებიან არასოდეს.
რომ სხვა ყველაფერი განქარდება და მტვრად იქცევა.
რომ სხვა ყველაფერი მიწაა და მიწად იქცევა.
საით მიმართულან პარფიუმერიები?
საით მიმართულან ვულტები და თილისმები და
ელექსირები?
საით მიმართულა ჩვენი ძიება, კოსმიური ხომალდები,
მიწისქვეშა მატარებლები და სადაა იზიდა?
საით მიგორავენ ძილის კამათლები?
საით მიმართულან ცოცხალნი და მზენი და როგორია
მათი მიმართულება?
საით მიმართულან მთვარენი და სატრფონი ჩვენნი, საით?

1987

8 ჰაიკუ

* * *
ხრიოკი მთები
ელექტროკოშკები
მძიმე ღრუბელს მიაცურებს აგვისტოს ქარი.

* * *
შემოდგომის ფოთლებით მოფენილი ღამის ქუჩა
დაღლილი ვფიქრობ შორეულ ზაფხულზე
აქვე მატარებლების სადგომია.

* * *
ვერტმფრენი გაფრინდა მთისკენ
საითაც მოთხილამურეები წავიდნენ
დილით.

* * *
მზე უცბად ამოდის
ტელევიზორი დუმს
იღვრება ცხელი წყალი ონკანიდან

* * *
დავინახე როგორ მოუძღვოდა
ქალაქისაკენ თვითმფრინავი
ვარსკვლავებიან ღამეს

* * *
ვფიქრობ რა არის ცხოვრება
ჩამტვრეული ფანჯრიდან ქარი უბერავს
და აქრობს გაზქურას

* * *
ღამის პროსპექტზე 5 ავტომობილი შემოვარდა
თითქოს მოცარტისდროინდელმა გოგონებმა ბრჭყვი–
ალა კაბისბოლოები წამოიკრიფეს და სიცილით
გამოცვივდნენ მარმარილოსიატაკიან დერეფნებში.

* * *
ბობოქრობს ქარი
ბავშვები ყვირიან ქუჩაში
ვჭამთ ნამცხვრის ნარჩენებს მე–9
სართულზე.

1990, თბილისი

2 ჰაიკუ

* * *
წყნეთის გზაზე
ღრუბელი და ავტობუსი
ერთ მხარეს მიდიან.

* * *
ეს კაცი სასაცილო ბუშტებს ყიდის.
ქუჩის ძაღლმა დაინახა
და გაუკვირდა.

აქ ყვავილები სიყვარულის ემბლემაა

შენ ვერ მიყიდი სიყვარულს, მაგრამ ყვავილების შეძენა ყოველთვის შეგიძლია. მხიარული და ინფანტილური კაპრიზი ყოფილა: “მიყიდე სიყვარული”. გამორჩეული ეს კაფე მართლაც ბევრი რამით აღმოჩნდა: ინტერიერის დიზაინი ათასგვარი სახეობის მცენარით არის შედგენილი.
ხის სადა თაროებზე მომცრო ქოთნებში ჩამწკრივებული მცენარეები მყიდველს უცდიან, იქნებ ლანჩის მერე ვინმემ მათი სახლში წაყვანა გადაწყვიტოს. იმდენი სიმწვანეა, რომ შენს გვერდით მდგარი მოზრდილი ხე შეიძლება ვერც კი შეამჩნიო.
ზაფხულში კი სასიამოვნო სიურპრიზი უნდა იყოს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მსუბუქ, ჯანმრთელ და უბრალო საკვებს ანიჭებს უპირატესობას.
ლანჩზე სამი სახეობის სენდვიჩი შეგიძლიათ ამოირჩიოთ: ტრადიციული BLT შესანიშნავი შვეიცარიული ყველით და ლორით, რომელიც საკმაოდ ნოყიერი საკვებია, მაგრამ ორგანული პროდუქტების და ადგილზე გამომცხვარი ფუნთუშის ხარჯზე აქ ის საკმაოდ ჰაეროვანი და გემრიელი გამოდგა. ასევე აქვთ სენდვიჩი შებოლილი ორაგულით და ტოსტი ყველით და ლორით, რომელთაც თეფშზე ზეითუნის ზეთით შემკული ორნაირი სალათის ფოთლები უმშვენებს მხარეს.
ჩაი შეგიძლიათ მოითხოვოთ, როგორც ჩაიდნით, ასევე ფინჯნით. თუ დესერტს გადაწყვეტთ, ეს არჩევანიც მდიდარია: ჩიზქეიკი, ბრაუნი, ვაშლის პეროგი ან სეზონური ხილი და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც საკმაოდ იაფი ღირს და 5 ლარს არ სცილდება.
მუსიკა დაბალ ხმაზე ჩართული მსუბუქი ჯაზია, ერთ-ერთ კედელზე ჟურნალის რამდენიმე შავ-თეთრი ფოტოც არის მიმაგრებული და იქვე სინემატიკის კატალოგიც დევს მაგიდის კუთხეში, როგორც საპირისპირო დეტალი მთელი ამ არასინთეთიკური მშვენიერების. და აქ ყვავილების თაიგულებიც იყიდება.

2013

ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის სამახსოვრო

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

როცა ვინმე ცდილობს, ვთქვათ, შეცვალოს ცეკვა შაბათით, ეს დაუსჯელად არ ჩაუვლის. შაბათობა უნდა მოვაწყოთ ერთი საათით, ცეკვა კი ორი საათით.
ბევრ ქარხანაში ვყოფილვარ და ჩემთვის ახალგაზრდობას შემოუჩივლია: “ცეკვას გვიკრძალავენ. ახლა არ მინდა ცეკვა, მაგრამ ხანდახან მაინც..."

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

გაჩნდა საყვედურები, რომ ჩვენი ახალგაზრდობა უფრო თავშეუკავებელია სქესობრივი თვალსაზრისით, ვიდრე ეს წინათ იყო. მართლაც, თუ ახალგაზრდობა მეტწილად სიამოვნებას მხოლოდ სქესობრივ ურთიერთობებში ეძებს, ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდობას მეტისმეტად ვღლით, ეს ნიშნავს, რომ იგი უკვე დაიღალა, რომ გონებრივი გადაღლა აიძულებს მას, დაისვენოს გონების მუშაობისგან.

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

თითქოს შეიძლებოდეს ათჯერ შეირთო ცოლი და ათჯერ მიატოვო. კიდევ არა უშავს რა, თუ ხდება ასე: "დავშორდით, როგორც ზღვაში ხომალდნი". მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ერთი მიდის, მეორე კი - იტანჯება... როცა კაცი ფიქრობს: "დღეს შევირთავ, ხვალ გავეყრები", ამას ეწოდება წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი.

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

რას ნიშნავს იყო შემოქმედი? რა განსხვავებაა ხელოსანსა და შემოქმედს შორის? ისეთივე, როგორც მხატვარსა და უბრალო ფერმწერს შორის. აიღეთ, მაგალითად, ეს დახატული ხატები. ყველა ერთმანეთს ჰგავს, ვერც ერთ ხატზე ვერ ნახავთ ცოცხალ სახეს...

როცა ქუჩაში მოვდივარ და ვხედავ, რომ მორბის 11-12 წლის გოგონა, ის კი არ მორბის, აუცილებლად მოხტის.

რომელი დავლიო?

თუ მე ვფიქრობ, რომელი დავლიო: "ბორჯომი" თუ "საირმე", როცა ვიცი, რომ "ბორჯომი" მიყვარს, მაგრამ არ მიხდება, ხოლო "საირმე" მიხდება, მაგრამ არ მიყვარს, ასეთ შემთხვევაში თავისთავად იგულისხმება, რომ ჩემს ხელთაა როგორც "ბორჯომი", ისე "საირმე".

თუ მე ერთ-ერთი არა მაქვს, არჩევანიც გამორიცხულია.

მაშასადამე, უნდა არსებობდეს მოქმედების თავისუფლება, რომ ვილაპარაკოთ არჩევანის თავისუფლებაზე.

მაგრამ სადაც არაა მოქმედების თავისუფლება, იქ არჩევანის თავისუფლება კი არ ირღვევა, არამედ არჩევანი კარგავს ყოველგვარ აზრს.

როგორი იქნებოდა არჩევანი, მოტივები ერთნაირი ძალის რომ იყვნენ? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, არჩევანი შეუძლებელია.

არჩევანის თავისუფლებას ხელს უშლის მოფიქრების დროის უქონლობაც.

არჩევანის თავისუფლებას ბევრად უშლის ხელს მოულოდნელი და ძლიერი აღგზნებები, აფექტები.

ვეკითხები საკუთარ თავს, ხშირად სხვებსაც, თუ რატომ არსებობს ადამიანი, რა მიზანი აქვს მის ცხოვრებას, რა ამოძრავებს კაცობრიობას, რა ფასი აქვს სიცოცხლეს და ა. შ და ა. შ.

ადამიანის შინაგანი, სუბიექტური სამყაროს შესწავლის ერთადერთი საშუალებაა მისი პრაქტიკული მოქმედება. ადამიანის სინდისის სფერო არ არის ისეთი შეუვალი და კარჩაკეტილი ციხე-სიმაგრე, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით გვეჩვენოს. ადამიანის საქმეები, მისი სისტემატური და მეთოდური მოქმედების სურათი საკმარისია იმისათვის, რომ მივხვდეთ მისი სინდისის შინაგან მდგომარეობას.

ლაპარაკია ცხოველზე, იარაღის მკეთებელ ცხოველზე, ე. ი. ადამიანი უპირველეს ყოვლისა ცხოველია და, კერძოდ, ისეთი ცხოველი, რომელიც განსხვავებით სხვა ცხოველებისაგან იარაღს - და მის უმაღლეს ფორმას, ენას - აკეთებს.

მართალია სუბიექტს წყლის დალევა უნდა, და ერთგვარი ყოყმანის შემდეგ იგი სვამს კიდეც წყალს. მაგრამ, ნამდვილად, წყლის სმის აქტს მისი წყურვილი კი არ იწვევს, როგორც მხოლოდ წყურვილი; არა, იგი მხოლოდ მას შემდეგ მიმართავს ამ აქტს - სვამს წყალს - როცა აგონდება, რომ მინერალური წყალი სასარგებლოა. რომ ეს არა, წყურვილი წყურვილად დარჩებოდა, და სუბიექტი წყალზე უარს იტყოდა. ასე რომ, საქმე ის კი არაა, დალევს სუბიექტი წყალს თუ არა, როდესაც მას სწყურია, არამედ საქმე ისაა, თუ რით არის ეს აქტი გამოწვეული.

რისთვის არსებობს ადამიანი, რისთვის იბრძვის, რისთვის შრომობს, რა აზრი აქვს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას? რა არის ბედნიერება? რაში მდგომარეობს ბედნიერება?

ბედნიერება სიამოვნებასა და ნეტარებაში მდგომარეობს. რა იწვევს სიამოვნებასა და ნეტარებას? ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ადამიანი ცოცხალი არსებაა. მას უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება კვება.

ადამიანს აქვს გემოვნების გრძნობა, ესთეტიკური, ემოციური დატკბობის მოთხოვნილება, რაც ორგანიულად უკავშირდება მის ყოველგვარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს. განსაკუთრებით მჭიდროა გემოვნების კავშირი ისეთ სასიცოცხლო ბიოლოგიურ მოთხოვნილებასთან, როგორიცაა სქესობრივი ცხოვრებისა და გამრავლების მოთხოვნილება.

აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ყველა თავისი გემოვნებით ქორწინდება, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ მოწონების საწყისი საფუძველი გემოვნების მინიმალური დაკმაყოფილება მაინც უნდა იყოს, იმ გემოვნებისა, რომელიც აქვს სუბიექტს მოწონების აქტის მომენტში და არა ადრე ან გვიან. მაგრამ აქ ცალმხრივი არჩევა არაფერს არ ნიშნავს. მთავარია მეორე მხარემაც აირჩიოს.

სქესობრივი ცხოვრების შიშველი ბიოლოგიური მისწრაფება არასოდეს არაა თვითკმარი საფუძველი. იგი მოთხოვნილებას განაპირობებს და არა არჩევანის კონკრეტულობას. არჩევანს უნდა განსაზღვრავდეს გემოვნების ფაქტორი, თუ არჩევანი თავისუფალია და იგი განსაზღვრული არაა ეკონომიური, მორალური, რელიგიური და პოლიტიკური ფაქტორებით.
ესთეტიკური, ემოციონალური მოთხოვნილება იმდენად ძლიერი და ინტენსიურია, რომ ადამიანი არ კმაყოფილდება სასმელ-საჭმელის, ტანსაცმლის, ბინის, საპირისპირო სქესის და გარემომცველი ბუნების მშვენიერებით და ჰქმნის ხელოვნურ მშვენიერებას, ხელოვნურ სილამაზეს - მუსიკის, ცეკვის, მხატვრობის, მწერლობის, სანახაობისა და სხვათა სახით.
ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რწმენის მოთხოვნილება, ყოველივე იმის რწმენის, რაც განუხორციელებელი იდეალია, მაგალითად, სულის უკვდავება და საიქიო ცხოვრება.

საყოველთაო, მოარული მნიშვნელობით, ბედნიერებად მიიჩნევა სიამოვნებისა და ნეტარების უმაღლესი ინტენსიობა, მაქსიმალური სიამოვნებისა და ნეტარების მდგომარეობა.

მეტაფიზიკური გონებისათვის, ცხადია, ძნელი მოსანელებელია განსხვავებულთა და დაპირისპირებულთა ერთიანობისა და იგივეობის კანონზომიერება.

როცა ვფიქრობ, რომელი დავლიო: "ბორჯომი" თუ "საირმე", როცა ვიცი, რომ "ბორჯომი" მიყვარს, მაგრამ არ

მიხდება, ხოლო "საირმე" მიხდება, მაგრამ არ მიყვარს, როგორი იქნებოდა არჩევანი, მოტივები ერთნაირი ძალის რომ იყვნენ?

* * *

გემზე როდესაც ვმუშაობდი, ერთი გოგო მოეწონა.
და როდესაც ვუთხარი, რომ მომეწონა,
გადახტა წყალში, გადაიქცა თევზად და გაცურა.

სურვილები და სიამოვნებანი

1. ადამიანი სხეულებრივად ტკბება, როცა პურმარილს შეექცევა, მაგრამ ამ სხეულებრივ ტკბობას ემატება ესთეტური ტკბობა იმისდა მიხედვით, თუ როგორია თვით ეს პურმარილი და როგორი გემოვნებითაა სუფრა გაშლილი.
2. ესთეტური ტკბობა ისევე, როგორც ყოველი ტკბობა საერთოდ, პროცესია და, მაშასადამე, დროში მიმდინარეობს. ადამიანს ტანჯავს უმოქმედობა, ცარიელი დრო. თუ სხვა საშუალება არაა, იგი მიმართავს რაიმე მექანიკურ მოქმედებას, კუნთების მოძრაობას, ბოლთის ცემას.
3. კაცობრიობა დასაბამიდანვე იღვწის და ჯერ კიდევ ხმამაღლა და გარკვევით არ უთქვამს, თუ რისთვის იღვწის, რა მიზანი ამოძრავებს, საით მიისწრაფის. ცხოველი უფრო ხშირად არის კმაყოფილი, ვიდრე ადამიანი; ანუ უფრო ზოგადად თუ ვიტყვით: ცხოველი მუდამ კმაყოფილია, ადამიანი კი - არასოდეს. ცხოველი მოკლებულია ყოველგვარ იდეალსა და მისწრაფებას, შესაბამისად მოკლებულია ბედნიერებასაც.
4. ღორისათვის იმაზე მეტი კეთილდღეობა არაფერია, როგორც მაძღარზე ტალახში გორაობა. იგი არ იქნებოდა კეთილდღეობაში, მას რომ გააჩნდეს მენიუს გამრავალფეროვნებისა და მარმარილოს აბაზანაში განცხრომის პრეტენზია.
5. როცა ადამიანი წყურვილის გრძნობას იკლავს, ეს მასში იწვევს სრულიად თავისებურ სიამოვნებას, რომელიც განსხვავდება, მაგალითად, დანაყრების სიამოვნებისაგან. თუ ადამიანს ძალიან სწყურია, მაშინ წყალი მეტ სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე მაშინ, როცა ნაკლებად სწყურია. ან, თუ ადამიანს მინერალური წყალი ურჩევნია, მაშინ ეს უფრო მეტ სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე უბრალო წყალი. თუ წყალი ტექნიკურად ძნელი დასალევია, ეს ამცირებს სიამოვნებას.
6. სიამოვნება რომ მხოლოდ მას შემდეგ იწყებოდეს, რაც ესა თუ ის მოთხოვნილება დაიკმაყოფილე, ასეთ შემთხვევაში მიზანი იქნებოდა, რაც შეიძლება მალე, მოკლე დროში დაიკმაყოფილო მოთხოვნილება, რომ მალე დაიწყოს სიამოვნება. მაგრამ საკმარისია შევამციროთ სიამოვნებისთვის აუცილებელი მინიმალური დრო, რომ ამით შევამციროთ თვით სიამოვნებაც. ზოგჯრ დროის შემცირებამ შეიძლება უსიამოვნებაც კი გამოიწვიოს. ნაკლებ სიამოვნებას მიიღებთ, თუ ერთ ჭიქა წყალს დალევთ უცბად, ზომაზე ნაკლებ დროში.
7. სიამოვნება იწყება მოთხოვნილების დაკმაყოფილების დასაწყისიდანვე და გრძელდება მოთხოვნილების დაკმაყოფილების დამთავრებამდე. ადამიანი სიამოვნებას განიცდის არა სადილის შემდეგ, არამედ სადილობის პროცესში. სადილობის შემდეგ სიამოვნებას მხოლოდ ინერციული ხასიათი აქვს, რაც მალე სუსტდება და ქრება. ამ სიამოვნების გაქრობიდან ვახშმობის დაწყებამდე უსიამოვნება კი არაა, არამედ ნეიტრალური მდგომარეობაა.
8. უსიამოვნება იწყება მხოლოდ შიმშილის გრძნობის გაღვიძების მომენტიდან. რაც უფრო ძლიერია მოსალოდნელი სიამოვნება, მით უფრო დიდია ლოდინის უსიამოვნება.
9. ცნობილია, რომ ლხინში ადამიანი მეტ სიამოვნებას ნახულობს, ვიდრე ჩვეულებრივი სადილის დროს, რადგან მთავარი ლხინით სიამოვნებაში ადამიანებით და მათი მოლხენით სიამოვნებაა.
10. სიამოვნებაა თვითონ სიცოცხლე, მაგრამ იგი უჩინარი და უხილავია, სანამ არ შეფერხდება იგი. მანამდე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ისევე როგორც სუნთქვა, იგი არ განიცდება, როგორც სიამოვნება. ადამიანი ცდილობს შეავსოს სიცოცხლე სხვადასხვა სიამოვნებებით. სუნთქვისა და სიცოცხლის სრულ დაპირისპირებას წარმოადგენს სქესობრივი აქტის მოთხოვნილება. სქესობრივი ტკბობა ყველაზე ძლიერი და მაღალი ინტენსივობის სიამოვნებაა.
11. ყველაზე მეტი, რაც აქ ადამიანს შეუძლია სიამოვნების გაზრდისათვის, - ეს ისაა, რომ შეავსოს სხეულებრივი ტკბობა ესთეტური და ეთიკური ტკბობის ელემენტებით, ანუ აამაღლოს უბრალო ცხოველური აქტი ადამიანური ესთეტური და ეთიკური გრძნობის აქტამდე, სიყვარულამდე.
12. სხეულებრივი სიამოვნებანი მხოლოდ უმნიშვნელო დროს ავსებენ და რაც არ უნდა ფუფუნებით ცხოვრობდეს ადამიანი, იგი მაინც არ იქნება კმაყოფილი თავისი ცხოვრებით.
13. ქვეყნად “ჭეშმარიტება“ მეტია, ვიდრე “მშვენიერება“. “ჭეშმარიტება“ ყველაფერია, მაგრამ ყველაფერი არაა “მშვენიერება“. კიდევ უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, მის სულიერ ტკბობაში, ზნეობრივი სიხარულის ანუ სიკეთის განცდას. სიკეთე უფრო ნაკლებია, ვიდრე მშვენიერება. დაგავიწყდება ჭკვიანური აზრი და დამატკბობელი, სასიამოვნო მელოდია, მაგრამ არასოდეს გაქრება შენს მეხსიერებაში თქვენს მიერ ან სხვის მიერ ჩადენილი სიკეთე.
14. მაშასადამე, გარკვეულია ადამიანის ცხოვრების ძირითადი და არსებითი შინაარსი.
15. ხსოვნა არ ნიშნავს ტკბობას, მაგრამ სულიერი სიამოვნება არის კვლავ განცდის სიამოვნება. მე რომ გუშინდელ ძვირფას პურმარილს ვიგონებ, ამით მცირე ინერციით კიდევ ვტკბები, მაგრამ მთელი სიამოვნების კვლავ განცდისათვის მისი განმეორებაა საჭირო. ხოლო ამ პურმარილის დროს ცეკვა-სიმღერით და მშვენიერი ხალხით ტკბობას რომ ვიგონებ, ამ ტკბობის ხელახლა განცდა შემიძლია მათი რეალური განმეორების გარეშე.
16. სულიერი სიამოვნების უმაღლესი სახის - ზნეობრივი სიხარულის - ხანგრძლივობას განაპირობებს არა

უბრალოდ ხსოვნა იმისა, რომ შენ ერთ დროს სიკეთე ჩაიდინე, ან სხვამ სიკეთე ჩაიდინა, არამედ საკუთარი ადამიანური ღირსებისა და თავმოყვარეობის პერმანენტული განცდა. ეს განცდა არასოდეს არ ქრება, არ სუსტდება, არ უფერულდება. უფრო მეტიც, იგი დღითიდღე იზრდება, ვითარდება და ადამიანისაგან მოითხოვს სულ ახალ და ახალ სიკეთეს.
17. ბოროტებაც, ისევე როგორც სიკეთე, თოვლის გუნდას ჰგავს, თუ მას დროზე არ შეუშალეს ხელი.

ადრეული გაზაფხულის ჩრდილო-დასავლეთის ცივი ქარის ჰაიკაი

თვითმფრინავი
პომადა

მზე ღამურა
კვერცხი
მზე

ფეხსაცმელი
სარკე

ნავი სავარცხელი ხე მთვარე
ღორი ყვავილი
დანა მდინარე თინათინი

იხვის სამყარო
მისი ვაშლი იხვი

*
რუსუდანი ბურთს თამაშობს.
რუსუდანი თამაშობს.
მეცხვარე სალამურს უკრავს.

*
სავსე მთვარე დასცქერის სოფელს.
ცხვარი თეთრად შეფენილა.
დილის ნამი მარგალიტივით ეფინება
(დილის ნამი მარგალიტივით ეფინება ფოთლებს).

*
მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარმა ნიავმა დაიჭირა.
ტანწერწეტა მანდილოსანს მუდამ მწვანე კაბა მოსავს.

მამა მუშაობს
მხატვარი ხატავს
ღერძი მოძრაობს

*
ის დარბის მაგიდაზე ცისფერი ფინჯანი
წევს საწოლზე ქრის ყაყაჩო
ქარი ბიბინებს წითელი ძლიერი

*
გადაუღებლად დიდი კაშკაშა მზე ყანაში
ყაყაჩო გაწითლდა. მზე წითლად კაშკაშებს.

*
არ ებრალება, კერძს თვითონ ჭამს.
სადილი კარგად იყო დამზადებული.
მინდორს სიმწვანე ამშვენებდა.

მაგიდაზე ხე მარილი ყვავილი სეირნობა
ჰაერი კარადა
ზღვა მწვანედ მოჩანს.

*
მეხუთე რიგში თეატრში

ნამცხვრის მესამედი წავუღე.
ნანამ პური ყველი შეჭამა.

თეატრში ვერ წამოვალ, საღამოს არ მცალია.
ზღვა ძალიან მიყვარს, ასე შორს არასდროს მივდივარ.

*
ბიჭმა საყელო აიწია ნაბიჯს მოუმატა.
ჰორიზონტიდან ნაპირამდე ოქროს მოციმციმე ბილიკი გაწვა.
მერცხლებმა დერეფნის კუთხეში ბუდე გაიკეთეს.

მაღლა ცაზე მზე კაშკაშებს.
თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა.
სახლებს შორის ჭადარი დგას.

*
მწყემსი ცხვარს მთისკენ მიერეკება.
მთვარემ ბადესავით გადააფარა ტყეს თავისი სხივები.
კალათაში სამი მსხალი დევს.

*
რა ლამაზი საღამოა
კვნესოდა დაჭრილი მეომარი
ბურთი მდინარეში ჩამივარდა

*
სახლს ვუახლოვდები, წიგნი დავკარგე.
წიგნი მე უნდა მომეტანა.
ეთერი თეატრში წამოიყვანე.

*
ჩემს სოფელს მინდვრები აკრავს.
ეს მისი სიმდიდრეა.
გაზაფხულზე ნიავი სველ ღრუბლებს დააფენს,
შემდეგ წაიღებს ჩრდილოეთისკენ.

*
ფანქარი რუსუდანის ყოფილა.
თითქმის ნახევარი საათი არ მოხვედი.
ორი მეგობარი სიცილით მოსეირნობდა მაღლა, ფოთლებში.

*
მხიარული რაკრაკით ნაკადულის
ძაღლი ყეფს ანგარიშს, ბრძოლას, ჭამას, ქონებას.
ჩვენს ეზოში დიდი ხანძარი.

*
დილით ვარჯიშობ.
პატარა ეზო შემორაგვულია ბუჩქნარით.
მატარებელი თბილისს მიუახლოვდა.

*
მოკრიალებულ ცაზე მაისის მზე ბრწყინავდა.
თოვლმა დაფარა
სოფელში პატარა ლამაზი ტურისტული ოთახი.

2022